თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2022 წლის 19 დეკემბერი

ქ. თბილისი

თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თიღვის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის № 4 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 27/12/2021; 190020020.35.145.016183).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

თიღვის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რევაზ ჭავჭავაძე**

დანართი

თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

თავი I

თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	**2021 წლის ფაქტი**	**2022 წლის გეგმა**			**2023 წლის გეგმა**		
		სულ	**მათ შორის**		**სულ**	**მათ შორის**	
			სახელმწიფო ბიუჯეტი	**საკუთარი შემოსავლები**		**სახელმწიფო ბიუჯეტი**	**საკუთარი შემოსავლები**
შემოსავლები	1,688.0	1,862.0	35.0	1,827.0	2,050.0	40.0	2,010.0
გრანტები	1,680.0	1,850.0	35.0	1,815.0	2,040.0	40.0	2,000.0
სხვა შემოსავლები	8.0	12.0	0.0	12.0	10.0	0.0	10.0
ხარჯები	1,769.8	1,885.1	35.0	1,850.1	2,048.5	40.0	2,008.5
შრომის ანაზღაურება	736.1	896.7	35.0	861.7	995.9	40.0	955.9
საქონელი და მომსახურება	155.0	218.0	0.0	218.0	237.8	0.0	237.8

სუბსიდიები	297.0	350.3	0.0	350.3	386.5	0.0	386.5
სოციალური უზრუნველყოფა	188.7	195.4	0.0	195.4	206.2	0.0	206.2
სხვა ხარჯები	393.0	224.8	0.0	224.8	222.1	0.0	222.1
საოპერაციო სალდო	-81.8	-23.1	0.0	-23.1	1.5	0.0	1.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	0.9	17.1	0.0	17.1	1.5	0.0	1.5
ზრდა	0.9	17.1	0.0	17.1	1.5	0.0	1.5
მთლიანი სალდო	-82.7	-40.2	0.0	-40.2	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-82.7	-40.2	0.0	-40.2	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	82.7	40.2	0.0	40.2	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	82.7	40.2	0.0	40.2	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	1,688.0	1,862.0	35.0	1,827.0	2,050.0	40.0	2,010.0
შემოსავლები	1,688.0	1,862.0	35.0	1,827.0	2,050.0	40.0	2,010.0
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	1,770.6	1,902.2	35.0	1,867.2	2,050.0	40.0	2,010.0
ხარჯები	1,769.8	1,885.1	35.0	1,850.1	2,048.5	40.0	2,008.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.9	17.1	0.0	17.1	1.5	0.0	1.5
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	-82.7	-40.2	0.0	-40.2	0.0	0.0	0.0

თავი II
თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 2 050.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	1,688.0	1,862.0	35.0	1,827.0	2,050.0	40.0	2,010.0
13	გრანტები	1,680.0	1,850.0	35.0	1,815.0	2,040.0	40.0	2,000.0
14	სხვა შემოსავლები	8.0	12.0	0.0	12.0	10.0	0.0	10.0

მუხლი 4. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახადები 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 5. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გრანტები 2 040.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
13	გრანტები	1,680.0	1,850.0	2,040.0
133	სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	1,680.0	1,850.0	2,040.0
1331	მიმდინარე	1,680.0	1,850.0	2,040.0
13311	გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	1,680.0	1,850.0	2,040.0
133111	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1,680.0	1,850.0	2,040.0
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი	30.0	35.0	40.0
1331113	სპეციალური ტრანსფერი	1,650.0	1,815.0	2,000.0

მუხლი 6. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 10.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
1.4	სხვა შემოსავლები	8.0	12.0	10.0
14.1	შემოსავლები საკუთრებიდან	7.7	12.0	10.0
1.4.1.1	პროცენტები	7.7	12.0	10.0
1.4.1.1.2	რეზიდენტებიდან, სხვა სანთავრობო სექტორის გარდა	7.7	12.0	10.0
1.4.1.1.2.4	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	7.7	12.0	10.0
1.4.4	ტრანსფერები რომელიც არ არის კლასიფიცირებული	0.3	0.0	0.0
1.4.4.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0.0	0.0	0.0
1.4.4.1.2	სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0.0	0.0	0.0
1.4.4.1.2.99	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	0.0	0.0	0.0
1.4.4.1.2.99.2	სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება	0.0	0.0	0.0
1.4.4.1.2.99.2.5	სახელმწიფოსადმი მიყენებული სხვა ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი	0.0	0.0	0.0
1.4.4.1.2.99.4	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	0.3	0.0	0.0
1.4.4.1.2.99.9	წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები	0.0	0.0	0.0

თავი III
თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები 2 048.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფ ო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	1,769.8	1,885.1	35.0	1,850.1	2,048.5	40.0	2,008.5
შრომის ანაზღაურება	736.1	896.7	35.0	861.7	995.9	40.0	955.9
საქონელი და მომსახურება	155.0	218.0	0.0	218.0	237.8	0.0	237.8
სუბსიდიები	297.0	350.3	0.0	350.3	386.5	0.0	386.5
სოციალური უზრუნველყოფა	188.7	195.4	0.0	195.4	206.2	0.0	206.2
სხვა ხარჯები	393.0	224.8	0.0	224.8	222.1	0.0	222.1

მუხლი 8. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1.5 ათასი

ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	0.8	1.5	1.5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	0.8	1.5	1.5
01 01 01	საკრებულო	0.0	0.0	0.0
01 01 02	გამგეობა	0.8	1.5	1.5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	0.1	0.0	0.0
02 04	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის სხვადასხვა ღონისძიებები	0.1	0.0	0.0
03 00	განათლება	0.0	0.0	0.0
03 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	0.0	0.0	0.0
04 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	0.0	0.0	0.0
04 01	სპორტის სფეროს განვითარება	0.0	0.0	0.0
04 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0
04 02	კულტურის სფეროს განვითარება	0.0	0.0	0.0
04 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	0.0	15.6	0.0
სულ არაფინანსური აქტივების ზრდა		0.9	17.1	1.5

ბ) განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 9. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ფუნქც. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	851.3	1,065.7	1,189.2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	851.3	1,065.7	1,189.2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	851.3	1,062.7	1,184.7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	3.0	5.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	51.1	61.4	68.3

7021	შეიარაღებული ძალები	51.1	61.4	68.3
705	გარემოს დაცვა	0.0	2.0	0.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0.0	2.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	190.2	20.5	54.0
7061	ბინათმშენებლობა	176.4	0.0	41.0
7063	წყალმომარაგება	12.0	13.0	13.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1.8	7.5	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	186.6	235.7	244.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	71.3	84.3	93.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	115.3	151.4	150.8
709	განათლება	111.9	132.2	146.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	111.9	132.2	146.0
710	სოციალური დაცვა	379.6	384.7	347.7
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	35.7	41.0	42.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	29.1	33.0	34.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	6.6	8.0	8.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	30.2	31.0	31.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	280.7	285.7	246.7
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	33.0	27.0	28.0
სულ		1,770.6	1,902.2	2,050.0

თავი IV
თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო
განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	-81.8	-23.1	1.5
მთლიანი სალდო	-82.7	-40.2	0.0

მუხლი 11. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0

ბ) განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების კლება	82.7	40.2	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	82.7	40.2	0.0

მუხლი 12. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

მუხლი 13. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები), შემდეგი რედაქციით:

1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი: 01 00)

პრიორიტეტის მიზანია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურებას, საქონელსა და მომსახურებას და სხვა. ასევე, პრიორიტეტი მოიცავს საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების ხარჯებს და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს.

2. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი: 02 00)

თიღვის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში, გაგრძელდება კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. პრიორიტეტის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების იატაკების რეაბილიტაცია, საპირფარეშოების მოწყობა, სამეურნეო დანიშნულების სათავსოების მშენებლობა, მზის ელექტროსადგურის მოწყობა, შენობების გადახურვისა და სხვა ინფრასტრუქტული სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტი შეძლებისდაგვარად დაუფინანსებს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების (აბონენტად აყვანა) სამუშაოების ღირებულებას, იმ კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობას, რომელთა ჩასახლებებიც ახლადგაზიფიცირებულია, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თიღვის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილების საყოფაცხოვრებო პირობებს. მუნიციპალიტეტის კომპაქტურ ჩასახლებებში განხორციელდება სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები, ქვეპროგრამები, აღწერა და მიზნები განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

პროგრამის დასახელება	**წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი: 02 01)**
პროგრამის აღწერა და მიზანი	*პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის კომპაქტურ ჩასახლებებში განხორციელდება სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. შედეგად:* • *მუნიციპალიტეტის ყველა დევნილთა ჩასახლებაში იქნება სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;* • *მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს ექნება შეუფერხებლი წვდომა სასმელ წყალზე;* • *წყლისა და საკანალიზაციო სისტემებისა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია განხორციელდება უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნება დროულად.*

ქვეპროგრამის დასახელება	**სასმელი წყლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი: 02 01 01)**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის კომპაქტურ ჩასახლებებში განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შედეგად:* • *მუნიციპალიტეტის ყველა დევნილთა ჩასახლებაში იქნება სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;* • *მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს ექნება შეუფერხებლი წვდომა სასმელ წყალზე;* • *წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია განხორციელდება უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნება დროულად.*

ქვეპროგრამის დასახელება	კანალიზაციის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი: 02 01 02)
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის კომპაქტურ ჩასახლებებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შედეგად:* • *საკანალიზაციო სისტემებისა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია განხორციელდება უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნება დროულად.*

პროგრამის დასახელება	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი: 02 02)
პროგრამის აღწერა და მიზანი	*პროგრამის ფარგლებში, დევნილთა ჩასახლებებში განხორციელდება საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაციის ღონისძიებები.*

პროგრამის დასახელება	ავარიული შენობებისა და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი: 02 03)
პროგრამის აღწერა და მიზანი	*პროგრამის ფარგლებში, დევნილთა ჩასახლებებში განხორციელდება საცხოვრებელ სახლებში/ბინებში იატაკის შეცვლა, საცხოვრებელი შენობების გამაგრებისა და ავარიული შენობების რეაბილიტაციის სხვადასხვა ღონისძიებები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.*

პროგრამის დასახელება	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის სხვადასხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი: 02 04)
პროგრამის აღწერა და მიზანი	*პროგრამის ფარგლებში, დევნილთა ჩასახლებებში განხორციელდება კომუნალური ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ღონისძიებები (სამეურნეო დანიშნულების სათავსოების მშენებლობა, საპირფარეშოების მოწყობა, მზის ელექტროსადგურის მოწყობა და სხვა), აგრეთვე მუნიციპალიტეტი შეძლებისდაგვარად დაუფინანსებს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების (აბონენტად აყვანა) სამუშაოების ღირებულებას, იმ კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობას, რომელთა ჩასახლებებიც ახლადგაზიფიცირებულია, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.*

3. **განათლება (პროგრამული კოდი: 03 00)**

თიღვის მუნიციპალიტეტი მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დიდ ყურადღებას ანიჭებს სკოლამდელ აღზრდას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგანმანათლებლო ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ბავშვებმა შეძლონ საფუძვლის შექმნა მათი შემდგომი განვითარებისათვის. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამა, აღწერა და მიზნები განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

პროგრამის დასახელება	**სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი: 03 01)**
პროგრამის აღწერა და მიზანი	*თიღვის მუნიციპალიტეტის დევნილთა ჩასახლებაში ფუნქციონირებს ორი საბავშვო ბაღი. სოფელ მოხისის საბავშვო ბაღი და სოფელ ახალსოფლის საბავშვო ბაღი, სადაც არის 40 აღსაზრდელი. ამ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებას, აგრეთვე უზრუნველყოფს მას საჭირო ინვენტარით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - თიღვის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება.*

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი: 04 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამები, ქვეპროგრამები, აღწერა და მიზნები განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

პროგრამის დასახელება	**სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი: 04 01)**
პროგრამის აღწერა და მიზანი	*სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით, განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება.*

ქვეპროგრამის დასახელება	**სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი: 04 01 01)**

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით, განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება.* *ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - თიღვის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.* *ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და დაფინანსდება თიღვის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს - 55 სპორტსმენს, აქედან, 3 - სექცია არის ფეხბურთის, სადაც ვარჯიშობს - 35 ბავშვი, 1 - ჭიდაობის, სადაც ვარჯიშობს - 20 ბავშვი.*

პროგრამის დასახელება	**კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი: 04 02)**
პროგრამის აღწერა და მიზანი	*თიღვის მუნიციპალიტეტი აქტიურად უწყობს ხელს კულტურის განვითარებას, ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელისშეწყობა და მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.*

ქვეპროგრამის დასახელება	**კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი: 04 02 01)**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - თიღვის მუნიციპალიტეტის სკოლსგარეშე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც აერთიანებს კლუბებს და ბიბლიოთეკებს, აგრეთვე გამოდის ჟურნალი „ფრონის ხეობა“. სოფ. მოხისისა და ახალსოფლის დევნილთა ჩასახლების კლუბები უზრუნველყოფილი იქნება ინტერნეტით და მასთან დაკავშირებული ხარჯებით.*

ქვეპროგრამის დასახელება	**კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი: 04 02 02)**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა ექსკურსიები, გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.*

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი: 05 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, როგორიცაა სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მოხუცებულთა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამა, ქვეპროგრამები, აღწერა და მიზნები განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

პროგრამის დასახელება	**სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი: 05 01)**
პროგრამის აღწერა და მიზანი	*პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, როგორიცაა სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მოხუცებულთა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.*

ქვეპროგრამის დასახელება	**გარდაცვლილ ვეტერანთა და დევნილთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი: 05 01 01)**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამა უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა და ომში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების ანაზრაურებას, თითოეულ ბენეფიციარზე - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.*

ქვეპროგრამის დასახელება	**ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი: 05 01 02)**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამის მიზანია, ახალშობილთა პირველადი სოციალური დახმარება. ერთჯერადი დახმარების მოცულობა ყოველ ახალშობილზე შეადგენს - 500 (ხუთასი) ლარს.*

ქვეპროგრამის დასახელება	**80 წელს გადაცილებული მოხუცების ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი: 06 01 03)**
ქვეპროგრამის აღწერა	*ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიღვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები დევნილი 80 წლის და 80 წელს ზემოთ ასაკის პირთა*

და მიზანი	*საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, პროგრამის ბენეფიციარებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების მოცულობა შეადგენს - 200 (ორასი) ლარს.*

ქვეპროგრამის დასახელება	**ოპერაციების დაფინანსება (პროგრამული კოდი: 05 01 04)**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*იმ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ თიღვის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ნაწილობრივ დაუფინანსდებათ გეგმური და ურგენტული ოპერაციები. თითოეული ოპერაციის შემთხვევაში, დახმარების ოდენობა განისაზღვრება სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის მიერ მოქალაქის ფაქტობრივად გადახდილი თანხის სრული ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.*

ქვეპროგრამის დასახელება	**მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი: 05 01 05)**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ თიღვის მუნიციპალიტეტში და ჰყავთ 4 და მეტი შვილი (აქედან ერთი მაინც 18 წლამდე). დახმარების მოცულობა თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე შეადგენს - 100 (ასი) ლარს.*

ქვეპროგრამის დასახელება	**ონკოლოგიურ ავადმყოფთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი: 05 01 06)**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამის ფარგლებში თიღვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები დევნილი ონკოლოგიური ავადმყოფები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.*

ქვეპროგრამის დასახელება	**მარტოხელა მშობლების ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი: 05 01 07)**
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამის ფარგლებში თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა ან მარტოხელა მამა) მარტოხელა მშობლის სტატუსის წარმოდგენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას, 200 (ორასი) ლარის ოდენობით.*

ქვეპროგრამის დასახელება	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი: 05 01 08)
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამის ფარგლებში თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი I ჯგუფის ინვალიდები და 0-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას, 200 (ორასი) ლარის ოდენობით.*

ქვეპროგრამის დასახელება	დევნილი ოჯახების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი: 05 01 09)
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	*ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიღვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესებას სხვადასხვა სახის სოციალური დახმარების გაწევას, როგორიცაა მუნიციპალიტეტიდან დევნილი ოჯახებისთვის სასურსათო დახმარება, ახლადგაზიფიცირებულ დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში გაზის გამათბობლების შეძენა-დამონტაჟება და სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსებას, რომელიც გააუმჯობესებს დევნილი ოჯახების სოციალურ პირობებს. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დაფინანსდეს დევნილი ოჯახებისთვის დროებით საცხოვრებელი ფართის დაქირავების საფასური.*

თავი VI
თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები
	თიღვის მუნიციპალიტეტი	1 770,6	1 902,2	35,0	1 867,2	2 050,0	40,0	2 010,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	58,0	58,0	5,0	53,0	58,0	58,0	0,0
	ხარჯები	1 769,8	1 885,1	35,0	1 850,1	2 048,5	40,0	2 008,5
	შრომის ანაზღაურება	736,1	896,7	35,0	861,7	995,9	40,0	955,9
	საქონელი და მომსახურება	155,0	218,0	0,0	218,0	237,8	0,0	237,8
	სუბსიდიები	297,0	350,3	0,0	350,3	386,5	0,0	386,5
	სოციალური უზრუნველყოფა	188,7	195,4	0,0	195,4	206,2	0,0	206,2
	სხვა ხარჯები	393,0	224,8	0,0	224,8	222,1	0,0	222,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,9	17,1	0,0	17,1	1,5	0,0	1,5
	ძირითადი აქტივები	0,9	17,1	0,0	17,1	1,5	0,0	1,5
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების	902,4	1 127,1	35,0	1 092,1	1 258,0	40,0	1 218,0

	ხარჯები							
	მომუშავეთა რიცხოვნობა	58,0	58,0	5,0	53,0	58,0	58,0	0,0
	ხარჯები	901,6	1 125,6	35,0	1 090,6	1 256,5	40,0	1 216,5
	შრომის ანაზღაურება	736,1	896,7	35,0	861,7	995,9	40,0	955,9
	საქონელი და მომსახურება	154,8	217,5	0,0	217,5	237,2	0,0	237,2
	სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,7	0,0	0,7	8,5	0,0	8,5
	სხვა ხარჯები	10,7	10,7	0,0	10,7	14,9	0,0	14,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,8	1,5	0,0	1,5	1,5	0,0	1,5
	ძირითადი აქტივები	0,8	1,5	0,0	1,5	1,5	0,0	1,5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	902,4	1 124,1	35,0	1 089,1	1 253,0	40,0	1 213,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	58,0	58,0	5,0	53,0	58,0	58,0	0,0
	ხარჯები	901,6	1 122,6	35,0	1 087,6	1 251,5	40,0	1 211,5
	შრომის ანაზღაურება	736,1	896,7	35,0	861,7	995,9	40,0	955,9
	საქონელი და მომსახურება	154,8	217,5	0,0	217,5	237,2	0,0	237,2
	სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,7	0,0	0,7	8,5	0,0	8,5
	სხვა ხარჯები	10,7	7,7	0,0	7,7	9,9	0,0	9,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,8	1,5	0,0	1,5	1,5	0,0	1,5
	ძირითადი აქტივები	0,8	1,5	0,0	1,5	1,5	0,0	1,5
01 01 01	საკრებულო	297,4	371,8	0,0	371,8	412,4	0,0	412,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	14,0	14,0		14,0	14,0	14,0	
	ხარჯები	297,4	371,8	0,0	371,8	412,4	0,0	412,4
	შრომის ანაზღაურება	221,4	277,4	0,0	277,4	305,3	0,0	305,3
	საქონელი და მომსახურება	66,5	88,4	0,0	88,4	96,6	0,0	96,6
	სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0	2,5	0,0	2,5
	სხვა ხარჯები	9,5	6,0	0,0	6,0	8,0	0,0	8,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
01 01 02	გამგეობა	553,3	681,9	0,0	681,9	762,3	0,0	762,3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	39,0	39,0		39,0	39,0	39,0	
	ხარჯები	552,5	680,4	0,0	680,4	760,8	0,0	760,8
	შრომის ანაზღაურება	464,3	560,2	0,0	560,2	625,1	0,0	625,1
	საქონელი და მომსახურება	87,6	119,2	0,0	119,2	129,7	0,0	129,7
	სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,0	5,0
	სხვა ხარჯები	0,6	1,0	0,0	1,0	1,0	0,0	1,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,8	1,5	0,0	1,5	1,5	0,0	1,5
	ძირითადი აქტივები	0,8	1,5	0,0	1,5	1,5	0,0	1,5
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა	51,1	61,4	35,0	26,4	68,3	40,0	28,3

	და გაწვევის სამსახური							
	მომუშავეთა რიცხოვნობა	5,0	5,0	5,0		5,0	5,0	
	ხარჯები	51,1	61,4	35,0	26,4	68,3	40,0	28,3
	შრომის ანაზღაურება	50,4	59,1	35,0	24,1	65,5	40,0	25,5
	საქონელი და მომსახურება	0,1	0,9	0,0	0,9	0,9	0,0	0,9
	სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,7	0,0	0,7	1,0	0,0	1,0
	სხვა ხარჯები	0,6	0,7	0,0	0,7	0,9	0,0	0,9
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	0,6	9,0	0,0	9,0	10,0	0,0	10,0
	ხარჯები	0,6	9,0	0,0	9,0	10,0	0,0	10,0
	საქონელი და მომსახურება	0,6	9,0	0,0	9,0	10,0	0,0	10,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0,0	3,0	0,0	3,0	5,0	0,0	5,0
	ხარჯები	0,0	3,0	0,0	3,0	5,0	0,0	5,0
	სხვა ხარჯები	0,0	3,0	0,0	3,0	5,0	0,0	5,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,0	3,0	0,0	3,0	5,0	0,0	5,0
	ხარჯები	0,0	3,0	0,0	3,0	5,0	0,0	5,0
	სხვა ხარჯები	0,0	3,0	0,0	3,0	5,0	0,0	5,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	190,2	22,5	0,0	22,5	54,0	0,0	54,0
	ხარჯები	190,1	22,5	0,0	22,5	54,0	0,0	54,0
	სხვა ხარჯები	190,1	22,5	0,0	22,5	54,0	0,0	54,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 01	წყლის სისტემების განვითარება	12,0	15,0	0,0	15,0	13,0	0,0	13,0
	ხარჯები	12,0	15,0	0,0	15,0	13,0	0,0	13,0
	სხვა ხარჯები	12,0	15,0	0,0	15,0	13,0	0,0	13,0
02 01 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	12,0	13,0	0,0	13,0	13,0	0,0	13,0
	ხარჯები	12,0	13,0	0,0	13,0	13,0	0,0	13,0
	სხვა ხარჯები	12,0	13,0	0,0	13,0	13,0	0,0	13,0
02 01 02	კანალიზაციის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია	0,0	2,0	0,0	2,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	0,0	2,0	0,0	2,0	0,0	0,0	0,0
	სხვა ხარჯები	0,0	2,0	0,0	2,0	0,0	0,0	0,0
02 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	145,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	145,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

	სხვა ხარჯები	145,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 03	ავარიული შენობებისა და სახლების რეაბილიტაცია	31,0	0,0	0,0	0,0	41,0	0,0	41,0
	ხარჯები	31,0	0,0	0,0	0,0	41,0	0,0	41,0
	სხვა ხარჯები	31,0	0,0	0,0	0,0	41,0	0,0	41,0
02 04	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის სხვადასხვა ღონისძიებები	1,8	7,5	0,0	7,5	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	1,7	7,5	0,0	7,5	0,0	0,0	0,0
	სხვა ხარჯები	1,7	7,5	0,0	7,5	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	განათლება	111,9	132,2	0,0	132,2	146,0	0,0	146,0
	ხარჯები	111,9	132,2	0,0	132,2	146,0	0,0	146,0
	სუბსიდიები	111,9	132,2	0,0	132,2	146,0	0,0	146,0
03 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	111,9	132,2	0,0	132,2	146,0	0,0	146,0
	ხარჯები	111,9	132,2	0,0	132,2	146,0	0,0	146,0
	სუბსიდიები	111,9	132,2		132,2	146,0		146,0
04 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	186,6	235,7	0,0	235,7	244,3	0,0	244,3
	ხარჯები	186,6	220,1	0,0	220,1	244,3	0,0	244,3
	საქონელი და მომსახურება	0,2	0,5	0,0	0,5	0,6	0,0	0,6
	სუბსიდიები	185,1	218,1	0,0	218,1	240,5	0,0	240,5
	სხვა ხარჯები	1,3	1,5	0,0	1,5	3,2	0,0	3,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	15,6	0,0	15,6	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,0	15,6	0,0	15,6	0,0	0,0	0,0
04 01	სპორტის სფეროს განვითარება	71,3	84,3	0,0	84,3	93,5	0,0	93,5
	ხარჯები	71,3	84,3	0,0	84,3	93,5	0,0	93,5
	სუბსიდიები	71,3	84,3	0,0	84,3	93,5	0,0	93,5
04 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	71,3	84,3	0,0	84,3	93,5	0,0	93,5
	ხარჯები	71,3	84,3	0,0	84,3	93,5	0,0	93,5
	სუბსიდიები	71,3	84,3		84,3	93,5		93,5
04 02	კულტურის სფეროს განვითარება	115,3	151,4	0,0	151,4	150,8	0,0	150,8
	ხარჯები	115,3	135,8	0,0	135,8	150,8	0,0	150,8
	საქონელი და მომსახურება	0,2	0,5	0,0	0,5	0,6	0,0	0,6
	სუბსიდიები	113,8	133,8	0,0	133,8	147,0	0,0	147,0
	სხვა ხარჯები	1,3	1,5	0,0	1,5	3,2	0,0	3,2

	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	15,6	0,0	15,6	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,0	15,6	0,0	15,6	0,0	0,0	0,0
04 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	113,8	149,4	0,0	149,4	147,0	0,0	147,0
	ხარჯები	113,8	133,8	0,0	133,8	147,0	0,0	147,0
	სუბსიდიები	113,8	133,8		133,8	147,0		147,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	15,6	0,0	15,6	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	0,0	15,6	0,0	15,6	0,0	0,0	0,0
04 02 02	კულტურული ღონისძიებები	1,5	2,0	0,0	2,0	3,8	0,0	3,8
	ხარჯები	1,5	2,0	0,0	2,0	3,8	0,0	3,8
	საქონელი და მომსახურება	0,2	0,5	0,0	0,5	0,6	0,0	0,6
	სხვა ხარჯები	1,3	1,5	0,0	1,5	3,2	0,0	3,2
05 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	379,6	384,7	0,0	384,7	347,7	0,0	347,7
	ხარჯები	379,6	384,7	0,0	384,7	347,7	0,0	347,7
	სოციალური უზრუნველყოფა	188,7	194,7	0,0	194,7	197,7	0,0	197,7
	სხვა ხარჯები	190,9	190,0	0,0	190,0	150,0	0,0	150,0
05 01	სოციალური უზრუნველყოფა	379,6	384,7	0,0	384,7	347,7	0,0	347,7
	ხარჯები	379,6	384,7	0,0	384,7	347,7	0,0	347,7
	სოციალური უზრუნველყოფა	188,7	194,7	0,0	194,7	197,7	0,0	197,7
	სხვა ხარჯები	190,9	190,0	0,0	190,0	150,0	0,0	150,0
05 01 01	გარდაცვლილ ვეტერანთა და დევნილთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება	33,0	27,0	0,0	27,0	28,0	0,0	28,0
	ხარჯები	33,0	27,0	0,0	27,0	28,0	0,0	28,0
	სოციალური უზრუნველყოფა	33,0	27,0	0,0	27,0	28,0	0,0	28,0
05 01 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება	21,5	28,0	0,0	28,0	29,0	0,0	29,0
	ხარჯები	21,5	28,0	0,0	28,0	29,0	0,0	29,0
	სოციალური უზრუნველყოფა	21,5	28,0	0,0	28,0	29,0	0,0	29,0
05 01 03	80 წელს გადაცილებული მოხუცების ერთჯერადი სოციალური დახმარება	30,2	31,0	0,0	31,0	31,0	0,0	31,0
	ხარჯები	30,2	31,0	0,0	31,0	31,0	0,0	31,0
	სოციალური უზრუნველყოფა	30,2	31,0	0,0	31,0	31,0	0,0	31,0
05 01 04	ოპერაციების დაფინანსება	17,1	19,0	0,0	19,0	19,0	0,0	19,0
	ხარჯები	17,1	19,0	0,0	19,0	19,0	0,0	19,0
	სოციალური უზრუნველყოფა	17,1	19,0	0,0	19,0	19,0	0,0	19,0
05 01 05	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი სოციალური	13,1	15,0	0,0	15,0	15,0	0,0	15,0

	დახმარება							
	ხარჯები	13,1	15,0	0,0	15,0	15,0	0,0	15,0
	სოციალური უზრუნველყოფა	13,1	15,0	0,0	15,0	15,0	0,0	15,0
05 01 06	ონკოლოგიურ ავადმყოფთა ერთჯერადი სოციალური დახმარება	12,0	14,0	0,0	14,0	15,0	0,0	15,0
	ხარჯები	12,0	14,0	0,0	14,0	15,0	0,0	15,0
	სოციალური უზრუნველყოფა	12,0	14,0	0,0	14,0	15,0	0,0	15,0
05 01 07	მარტოხელა მშობლების ერთჯერადი სოციალური დახმარება	2,6	3,0	0,0	3,0	3,0	0,0	3,0
	ხარჯები	2,6	3,0	0,0	3,0	3,0	0,0	3,0
	სოციალური უზრუნველყოფა	2,6	3,0	0,0	3,0	3,0	0,0	3,0
05 01 08	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება	6,6	8,0	0,0	8,0	8,0	0,0	8,0
	ხარჯები	6,6	8,0	0,0	8,0	8,0	0,0	8,0
	სოციალური უზრუნველყოფა	6,6	8,0	0,0	8,0	8,0	0,0	8,0
05 01 09	დევნილი ოჯახების სოციალური დახმარება	243,5	239,7	0,0	239,7	199,7	0,0	199,7
	ხარჯები	243,5	239,7	0,0	239,7	199,7	0,0	199,7
	სოციალური უზრუნველყოფა	52,6	49,7	0,0	49,7	49,7	0,0	49,7
	სხვა ხარჯები	190,9	190,0	0,0	190,0	150,0	0,0	150,0

თავი VII
მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება

თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 16. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება

1. თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ და თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
2. საჭიროების შემთხვევაში, თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით ცალკეული პროგრამებისა და ქვეპროგრამების დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში ასიგნებები გადანაწილდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამისი ბრძანებით.

მუხლი 17. თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალური განწერა

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადოს თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 18. ფულადი ჯილდოს და დანამატის გაცემა

1. 2023 წლის განმავლობაში თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე ფულადი ჯილდო და დანამატი გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
2. თიღვის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფულადი ჯილდოს და დანამატის ფონდები საჭიროებს მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებას.

მუხლი 19. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელთა ნუსხა
თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების/ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 20. საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება
1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება გაგრძელდეს საკრებულოს ასიგნებების (პროგრამული კოდი: 01 01 01) საბიუჯეტო კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ მუხლიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიურ რაოდენობაში არ ითვლება სამსახურებრივი მივლინების ხარჯები.

მუხლი 21. ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება
დაუშვებელია, იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება, რომლებზეც 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ასიგნებები არ არის გათვალისწინებული. საჭიროების შემთხვევაში ამ პროგრამებში ასიგნებების გადატანას და მათ ამოქმედებას ამტკიცებს თიღვის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია მიზნობრივი ასიგნებები.

მუხლი 22. ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შესახებ ინფორმაციის წარდგენა
1. გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალიტეტის გამგებელს პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე;
2. მუნიციპალიტეტის გამგებელი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება
თიღვის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
1. საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 67-ე მუხლის თანახმად, თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 5.0 ათასი ლარის ოდენობით;
2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან თანხას გამოყოფს გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, გამგებლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ.

მუხლი 25. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი
დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან თიღვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი - 40.0 ათასი ლარი, მიიმართოს: „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

მუხლი 26. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერი
საქართველოს ოგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 164-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, თიღვის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი განისაზღვროს 2 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 27. საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თიღვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის გამოყოფილ იქნეს 10.0 ათასი ლარი.

მუხლი 28. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა
მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.